საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

სოციალისტ-ფედერალისტი

№ 13 1921 წ. სამშაბათი მარტის 15 № 13

ფასი 50 მანეთი.

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი

მოუწოდებს უცხოელთა წარმომადგენლებსა და კონსულებს გამოცხადდნენ სარეგისტრაციოდ რწმუნების სიგელებითა და საჭირო დოკუმენტებით და წარმოადგინონ სრული სია თავის თანამშრომლებისა რეგისტრაციით იწარმოებს გარეშე საქმეთა კომისარიატის ბინაზე (ერმოლოვის ქუჩა № 9) მარტის 14-დან ყოველ დღე 12—2 საათზე.

საერთო განყოფილების გამგე **შ. დავითაშვილი.**

ტფილისი, სამშაბათი მარტის 15

ანტანტის პოლიტიკამ ვერ დაიჭირა გამოცდა ეკონომიური ანარქიიდან გამოსასვლელად საჭირო იყო შემოქმედებითი ძალების დემონსტრაცია და ევროპის ეკონომიურ ენერგიის ამოძრავება. განიავებულ ქონების დ დამსხვრეულ ეკონომიკის აღდგენა მხოლოდ ამ გზით იმლებოდა. ძალადობის მომენტი იმპერიალიზმის პოლიტიკით შეტანილი ეკონომიურ ცხოვრების მიმდინარეობაში იყო მომასწავებელი იმ საბედისწერო და ხანგრძლივი კრიზისის, რომლის გამოსწორება ომის შემდეგ უნდა მოხერხებულიყო. მესამე წელია რაც ომი დამთავრდა დ დღესაც გამარჯვებულ ანტანტას თურმე მეტი საშუალება არ მოეპოვება ცხოვრების მოსაწესრიგებლად გარდა იმავე უხეშურ დ ძალადობის საშუალებათა, რომელსაც იგი ომის განმავლობაში მიმართავდა. გერმანიაზე ახალი თავდასხმა, როგორც შედეგი ავაზაკურ მოთხოვნებისა, კვლავ ომის პერსპექტივის წინაშე აყენებს ევროპას და [illegible] ადასტურებს, რომ შემოქმედების და ეკონომიურ აღორძინების გზა ანტანტას არ გააჩნია, რომ მან ამის უნარი დაჰკარგა.

ანტანტა ომში დაძარცვულ ქვეყნების ექსპლოტაციით აპირობს თავის არსებობის განმტკიცებას, მძარცველობითი ბუნება იმპერიალიზმისა. ამას იმ თავითვე ცხადყოფდა და პოლიტიკურ სენტიმენტალიზმი იყო იმის ფიქრი, თითქოს ინტერესთა შეჯახების ნიადაგზე აღმოცენებული პოლიტიკა ინტერესთა შეთანხმების და თანამშრომლობის პოლიტიკით შეიცვლებოდა. დღეს ანტანტა იმდენად გამოშვლდა, რომ ყველასათვის ცხადია მისი საბედისწერო გეზი, რომლის გასასწორებელი საფლავი უკვე საკმაოდ ღრმადაა მოთხრილი.

მუშათა კლასი ევროპაში ეკონომიურ დეზორგანიზაციის შედეგს განიცდის მისი კლასიური ორგანიზაცია და პოლიტიკა ისევე დაშლილია, როგორც ეკონომიური ცხოვრება. ეს ქმნიდა უკანასკნელ დრომდე ისეთ პირობებს, როდესაც მუშათა კლასი ერთბაშად ვერ ადგებოდა რევოლიუციონურ გზას და ბურჟუაზიულ ეკონომიკისაგან კიდევ რაღაცა სიკეთეს გამოელოდა. სამოქალაქო ომი ევროპის მუშათა კლასში ვერ ჰპოულობდა უკანასკნელ მომენტამდე ფართო გასავალს, ვინაიდან ისედაც გაძვალტყავებული იმპერიალისტური ომით მუშათა კლასი ეკონომიურ ცხოვრების საბოლოოდ დანგრევის წინაშე იდგა და შიმშილის ჩრდილს უფრთხოდა.

ანტანტის ნაბიჯმა ყველას უნდა თვალი აუხილოს და დაარწმუნოს, რომ ევროპის და მასთან კაცობრიობის ეკონომიური აღორძინება კაპიტალისტურ ნიადაგზე სრულიად უიმედო საქმეა და თავად შერილი ევროპის მუშათა კლასი იძულებული იქნება ანტანტის უკანასკნელ გამოსვლას სამოქალაქო ომით უპასუხოს. ეხლა უკვე ყველაფერი ცხადია და რევოლიუციის აუცილებლობა დღესავით ნათელია. ომი გრძელდება და ევროპის მუშათა კლასის ლოზუნგი იქნება მისი სამოქალაქო ომად გარდაქცევა.

ჩიჰრა ანტანტა: კუზიანს სამარე გაასწორებს.

უტიფრობის ნიმუში

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ვიღაც როზენბერგს და ცეილიკმანს მიუმართავთ იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის წერილობითი განცხადებით, რომელშიაც თხოულობენ, რომ მათ მიანდონ საქართველოში საბჭოთა სასამართლოს მოწყობა.

ეს ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში ბევრი უცხო მატრაკვეცა ერევა, პირველი და უკანასკნელი არ არის, და ამიტომ საჭიროა ახალმა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას.

როზენბერგი და ცეილიკმანი—ეს იპ მოსკოველი ადვოკატები, რომლებიც სწორეთ ბოლშევიზმმა გამოაქცია ჯერ სამხრეთ რუსეთში დენიკინთან, შემდეგ ყირიმში და ბოლოს ჩვენში. ესენი მენშევიზმის მზეს ეფიცეოდნენ ნოე ჟორდანიას, რომ ადგილები ეშოვათ, და თავისას კიდეც მიაღწიეს. აი ეს ვაჟბატონები, რომლებიც ბოლშევიზმის სიძულვილით თავის ქვეყნიდან უსირცხვილოთ გამოიქცენ, ახლა იმავე ბოლშევიზმს მიაპართავენ ვითომდა საქართველოს ახალ საფუძველზე ასაშენებლად, ნამდვილად კი თბილი ადგილებისათვის.

ასეთი ხ. ლხი, რომელმაც თავი მოიყარა საქართველოში ჩვენი სტუმართმოყვარეობის, თუ [illegible] გამო, [illegible] ახლად მოსულ საბჭოთა მთავრობას, და ეს ხალხი არა თუ საქმის ახლო არ არის გასაკარებელი, არამედ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აქედან გაძევებული, როგორც ჩვენთვის უცხო და მასთან სასურსათო კრიზისის გამო ზედმეტი ელემენტი.

ჩვენ არ გვაკვირვებს ამ ხალხის კადნიერობა. ჩვენ გვაოცებს მხოლოდ მათი უტიფრობა, მას შემდეგ, რაც საქართველოს რევოლიუციონურმა კომიტეტმა გამოაცხადა საქვეყნოდ, რომ საბჭოთა ხელისუფლება შეფარდებული იქნება საქართველოს თავისებურ პირობებთან, რა საფუძვლით ეტანებიან ჩვენი ქვეყნის ახალ აღმშენებლობას ისეთი უცხო ელემენტები, რომლებსაც არა გაეგებათ რა ამ ქვეყნისა?

სახელმწიფო მუშაობისათვის ჩვენში აქვე მოიპოვებიან ადგილობრივი ელემენტები, უფრო გამოსადეგი და გულშემატკივარი. ხოლო რაც შეეხება როზენბერგს, ცეილიკმანს და მათ მსგავსთ, უმჯობესი იქნება, ისინი იქ იქნენ დაბრუნებულნი თავის მოღვაწეობის მოსახდენად, საიდანაც ასე უსირცხვილოდ გამოიქცნენ.

გარეში.

მუშათა წერილები

საუბარი მუშებთან

1.

მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა.

კაცმა რომ თვალი გადაავლოს კაცობრიობის ისტორიას, მომხდარ რევოლიუციებს, დაუკვირდეს მათ მსვლელობის შინაარსს და სხვა და სხვა კლასთა ჭიდილს, ესე იგი გაბატონებულთა და დაჩაგრულთა ინტერესს, ის ნათლად დაინახავს, რომ ყველა თავის ბატონობისთვის იბრძვის. რევოლიუციის დროს ყოველთვის იმ კლასს გააქვს ლელო, რომელიც უფრო მომზადებულია, შეგნებული, ესმის თავის ინტერესები და ამ თავის შეგნების მთელის თავის ძალღონით ანდომებს იმას, რომ სხვა და სხვა მოხერხებით, ხრიკებით და მზრახველი დაპირება-სიტყვებით მოატყუოს თავის მოწინააღმდეგე, გაიმაგროს წელი და მერე როგორც მოეპრიანება ისე აძროს ტყავი თავის სასარგებლოდ.

ამისთანა როლი უმთავრესად თამაშობს რევოლიუციის დროს ბურჟუაზია, გაბატონებული კლასი, რომ თავის ბატონობა არ დაჰკარგოს. ის სხვა და სხვა ქათინაურებით და დაპირებებით ეარშიყება მშრომელ კლასს, ხანდახან პატარა ძვალსაც გადუგდებს სახრავად, რომ როგორმე მოატყუოს ის და მერე თითონ იცის, ერთი ათად აიღებს მომავალში.

მაგრამ რევოლიუციის დროს არც მუშათა კლასმა, მშრომელმა მასამ უნდა დაჰკარგოს გონიერება, თავის ინტერესი დაუპირისპიროს ბურჟუაზიის ინტერესს და იმისდა მიხედვით იბრძოლოს უკეთეს მომავლის დრო, რადგან მის საქმეს არავინ გააკეთებს გარდა თავის თავისა. ყოველივე გადადგმულ ნაბიჯს ანგარიში უნდა გაუწიოს მუშათა კლასმა, კბილი უნდა გაუსინჯოს და თუ ის კბილი მისთვის საზიანო იქნება მაშინვე ამოაგდოს ძირიანად, რომ მომავალში დიდ ლოდებად არ გადიქცეს.

დღესაც, რაც რუსეთის დიდი რევოლიუცია მოხდა და ჯერ კიდევ არ დასრულებულა, არ მისულა თავის ლოგიკურ დასკვნამდე, დიდი სიფრთხილე გვმართებს საქართველოს მუშებს, რომ ასე არ წავიფორხილოთ და ისეთ უფსკრულში არ გადავცვივდეთ, რომ მომავალში სანანულად გაგვიხდეს საქმე. რასაც ამ თავით გავაკეთებთ მომავალშიც ის გვექნება, პატარა შემცდარი ნაბიჯმა შესაძლებელია დიდი ზიანი მიაყენოს როგორც მუშათა საქმეს, ისე ჩვენს სამშობლოსაც. ამისათვის უნდა დავირაზმოთ და გულწრფელად შევუდგეთ ყოველიფერ საქმეს, თვით ჩვენ მშრომელმა ხალხმა გამოვჭედოთ ის თავისუფლება, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

მაგრამ ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ ჩვენ მუშებს არ გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, ჩვენი ენა, ჩვენი კულტურა, ეს რომ ასე იყვეს ჩვენ მაშინ პირუტყვებს დავემსგავსებოდით, რადგან თუ არ გვექნებოდა ჩვენს სამშობლო ენაზე განვითარება პირში წყალჩაგუბებულნი ვიქნებოდით, მუნჯები. პირიქით მუშებს უფრო უნდა გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, რადგან მშობელი დედა მშობლიურ ენაზე გვზრდის პატარაობიდანვე, ჩვენ სხვა ენა არ ვიცით გარდა მშობლიური ენისა და თუ ამ ენას მოგვისპობს ვინმე ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ქართველი მუშები დამუნჯებულნი, პირში წყალჩაგუბებულნი ვიარებოდეთ და შურის თვალით შევყურებდეთ სხვა ქვეყნის მუშებს, რომელნიც თავიანთ სამშობლო ენაზე ვითარდებიან.

ამისათვის სრული იმედი გვაქვს და ეჭვიც კი არ შემაქვს, რომ საქართველოს სოციალისტური მთავრობა კი არ შეზღუდავს ქართულ ენას, პირიქით ეცდება, რომ ყველგან მთელ საქართველოში პირველი ადგილი ეჭიროს ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას და ჩვენც მუშები მშობლიურ ენაზე ვითარდებოდეთ.

მაგრამ თუ ოდნავაც არის შეზღუდული ქართული ენა, ეს საბაბს მისცემს ბურჟუაზიას პროპაგანდა გასწიოს და შეაზიზღოს მუშებს სოციალისტური წყობილება საქართველოსი, თუმცა ისიც კარგად ვიცით, რომ ბურჟუაზიას იმდენად უყვარს სამშობლო და მშობლიური ენა, რამდენადაც მისგან გამორჩენა და სარგებლობა აქვს...

ასოთ-ამწყობი პ. ახალკაცი.

მოწოდება ყველა ქვეყნის მშრომელსადმი

ხალხი აღსდგა და მიმართა თავის ძველ უფლებას—რევოლიუციას. პირველად აჯანყდნენ სომხისა და რუსის მცხოვრებნი ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრისა. აჯანყებულებს მაშინვე მიეშველნენ თათარი და ქართველი მცხოვრებნი აღნიშნულ მაზრისა და ძლიერი ტალღა აჯანყებისა გაექანა ტფილისისკენ—ამიერ კავკასიის კონტრ-რევოლიუციის ბუდისაკენ. საიდგანაც ძლიერა [illegible] არა მარტო საქართველოს მშრომელს, არამედ მეზობელ რესპუბლიკებს. წითელი არმია ამ რესპუბლიკისა დაეხმარა აჯანყებულებს მხოლოდ მათი თხოვნითა და მოწვევით. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი დაარსებული აჯანყების დროს სომეხ-თათარ, ქართველ, ოსების და აფხაზების მშრომელ ხალხთა სახელმძღვანელოდ და ბრძოლის დასამთავრებლად ამტკიცებს წინაშე მთელი ქვეყნისა არა მარტო დიდებულ სამხედრო გმირობას, წითელ მუშა-გლეხის ლაშქრისას, არამედ უცნაურს კაცობრიობის ისტორიაში თავდადებას, დისციპლინას და მოვალეობის მაღალ შეგნებას დაჩაგრულ ერთა მხსნელისას.

მთელი მსოფლიოს ძმებო-მუშებო, საქართველოს მშრომელმა ხალხმა მოიშორა ექსპლოატატორთა უღელი და შეუდგა ახალ ცხოვრების შენებას მშრომელთა დიქტატურის საძირკველზე. ნუ გჯერათ ცრუ და ცილის წამებით სავსე ლაპარაკი ყვითელ სოციალისტების დამხობილ მთავრობისა და მათი ამხანაგებისა ევროპაში, რომლებიც სცდილობენ ისე დასახონ საქართველოში მომხდარი რევოლიუცია, ვითომც დაპყრობა. სწორედ ეხლა პირველად ხდება საქართველო ნამდვილად თავისუფალი და უბრუნდება დიდი ხნის რყევის შემდეგ კონტრ-რევოლიუციიდგან რევოლიუციონურ ოჯახს.

ამხანაგებო და ძმებო, ჩვენ გაგვინათლა პროლეტარულ რევოლიუციის მზემ. ჩვენ გაგვათბო მისმა მცხოველმყოფელმა სხივებმა. ჩვენ ფეხი შევდგით ისტორიის ახალ კვალში, [illegible] შრომის მეუფობისა სიმდიდრეზე, შრომის ლაშქრის მეფობისა ექსპლოატატორებზე.

გაუმარჯოს პროლეტარულ მსოფლიო რევოლიუციას. გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკას. გაუმარჯოს ინტერნაციონალურ წითელს ლაშქარს—გამანთავისუფლებელს შრომისა და ერთობისა.

რევოლიუციონური კომიტეტი საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა ცხაკაია, მახარაძე, ორახელაშვილი, ელიავა, ოკუჯავა, [illegible], ნაზარეტიანი, ელისაბედაშვილი, გეგეჭკორი, კვირკველია, თოდრია, დუმბაძე.

მოწოდება ყოფილ საქართველოს მთავრობის მიმართ

ს. ს. ს. რ. რევკომმა მიმართა რადიოთი საქართველოს ყოფილ მთავრობას შემდეგი მოწოდებით:

„ეხლა, როდესაც საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის ჯარებმა გადალახეს სურამის ქედი, მამისონის უღელტეხილი, სამურზაყანოს საზღვარი და უკვე მიუახლოვდნენ ქუთაისს, თქვენს უკანასკნელს თავშესაფარს აშკარა უნდა იყოს თქვენთვის, რომ თქვენი საქმე წაგებულია. ომის გაგრძელებას არა აქვს არავითარი მიზანი, ომის გაგრძელება დამღუპველია ხალხთა მასის, რომელთა ფიზიკურ არსებობას თითქოს იცავდით თქვენ. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი, რომელიც წინააღმდეგია სისხლის ღვრისა, ხელმძღვანელობს რა ფართო ხალხთა მასების სასიცოცხლო ინტერესებით, წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ შესწყვიტოთ საომარი მოქმედება. ჩაგვაბარეთ ყოველივე სამხედრო იარაღი და ქონება, რომელიც ჰკუთვნის საქართველოს წითელ არმიას. იმას, ვინც დაყრის იარაღს დაგვნებდება, ვაძლევთ ხელშეუხლობის გარანტიას და წარსულს დავივიწყებთ. ვაცხადებთ ამნისტიას იმ პარტიებს და ჯგუფებს, რომელნიც სცნობენ გადატრიალებას და საბჭოთა წყობილებას საქართველოში. საკითხი ამ პარტიათა წარმომადგენლების შესვლისა რევოლიუციონურ მთავრობაში წარმოადგენს საგანს განსაკუთრებულ საქმიან მოლაპარაკებისათვის, საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი: თავმჯდომარე მახარაძე, რევკომის წევრები: ორახელაშვილი, ელიავა, ოკუჯავა, დუმბაძე, გეგეჭკორი, თოდრია, კვირკველია, ელისაბედაშვილი.

8 მარტის 1921 წ.

ქ. ტფილისი.

ქართველ მწერალთა კრება.

შაბათს, მარტის 12 ხელოვანთა სასახლეში შესდგა ქართველ მწერალთა საერთო კრება. კრებას მრავალი ქართველი მწერალი დაესწრო. კრება გახსნა გრ. რობაქიძემ. მან მოკლედ განუმარტა კრებას ქართველ მწერალთა საპროფესიო კავშირში შესვლის პირობები. როგორც გამოირკვა, ტფილისში ამ ჟამად მყოფ რუს ჟურნალისტებს სურთ დაარსონ საერთო კალმის მუშაკთა საპროფესიო კავშირი, რომელშიც უნდა შევიდნენ ყველა ეროვნების მწერლები და ჟურნალისტები. ასეთი კავშირი, სადაც განურჩევლათ მიმართულებისა ერთად იქნებიან მოქცეულნი, ქართველ მწერალთა კავშირს შეუსაბამოთ მიაჩნია, რადგანაც მწერლობა და ჟურნალისტიკა ერთ ფარგლებში ვერ მოექცევა და ხელოვნება ხელოსნობიდან უნდა მკაფიოთ განირჩეოდეს. გრ. რობაქიძის აზრით ტფილისში დაარსებულ საპროფესიო მწერალთა კავშირში შეიძლება შესვლა მხოლოდ იმ პირობით, თუ ქართველ მწერალთა კავშირი

ტურულ საქმეში სრულიად დამოუკიდებელი იქნება, ხოლო პროფესიონალური კავშირი გადასწყვეტს საორგანიზაციო სატეხნიკო საქმეებს, გამოიმუშავებს ტარიფს მწერალთა შრომის დაჯილდოების შესახებ და სხ. ქართველ მწერალთა კავშირი დიდი ხანია რაც არსებობს.

კავშირში ითვლება ორას ორმოცდაათი წევრზე მეტი, მას აქვს თავისი ტრადიცია და შეხედულება ამა და ამ ხელოვნების დარგზე ქართველ მწერალთა კავშირი კულტურული კავშირია და იგი საქართველოს ცხოვრებაში დიდი როლის მატარებელი უნდა იყოს. ამ საკითხის გარშემო ილაპარაკეს: პოეტმა პაოლო იაშვილმა, მწერლებმა იპოლიტე ვართაგავამ, მ. ადამიშვილმა, რომელთაც აღნიშნეს ქართველ მწერალთა კავშირის ცალკე არსობობის საჭიროება. ბოლოს მთელმა კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ ქართველ მწერალთა კავშირი არსებობდეს სრულიად დამოუკიდებლად და კავშირში უნდა შედიოდეს არც ერთი ჟურნალისტი. რომელსაც საერთოთ ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. რაც შეხება საპროფესიო კავშირში შესვლის პირობებს ამაზე იმსჯელებს მწერალთა კავშირის შემდეგ კრებაზე, რომელიც გაიმართება 14 მარტს ხელოვანთა სასახლეში საღამოს 5 საათ.ზედ.

გრუზავროსტას ქრონიკა

№ 14.

მარტის 12-ს 1921 წელ.

სახელმწიფო დაწესებულებათა შტატები.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს საასწრაფოდ შეაქვს საქართველოს ს. რესპუბლიკის ცენტრალურ რევკომის დასამტკიცებლად შტატები სახალხო კომისარიატისა, მთავარ მილიციის, გუბერნიებისა, მაზრებისა და სოფლების რევკომების და შინაგან საქმეთა კომისარიატის დაწესებულებათა.

სამშენებლო მასალის დამამზადებელ წარმოებათა რეგისტრაცია.

საქართველოს მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ უბრძანა პატრონებს ყველა ფაბრიკისა და ქარხნებისა, რომლებიც ამზადებენ სამშენებლო მასალას მაგალითად: (კირი, აგური, კრამიტი, გაჯი და სხვა). და ს. ს. ო. საქართველოს ტერიტორიაში იმყოფებიან, ჩაეწერონ სარეგისტრაციო სიაში საერთო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში (პუშკინისა 3 ყოფილი ბინა ქალაქთა კავშირისა). რეგისტრაცია სავალდებულოა მიუხედავათ იმისა, მუშაობს ფაბრიკა ანუ ქარხანა ამ ჟამად თუ არ მუშაობს.

ნავთ სადენის მოქმედების დაწყება.

10 მარტს დაიწყო მოქმედება ნავთ სადენისა. ნავთმა დენა დაიწყო აზერბეიჯანის რკინის გზის უკანასკნელ სადგურიდან საქართველოს ტერიტორიაში სადგურ სალოგლისა და ტფილისში.

ქალთა მიტინგი.

მარტს 8 საერთაშორისო დღეს მშრომელი ქალების დღესასწაულობდნენ თვისი განთავისუფლების დღეს, 4 საათზე მრავალი ათასი ქალი გაემგზავრნენ ვერის აღმართით ალექსანდრეს ბაღისკენ, სადაც რევოლიუციის მსხვერპლთა საფლავებთან მოხდა უდიდესი მიტინგი. ქალთა განყოფილებისაგან ილაპარაკეს. ამხ. გუტძენა. რევკომისაგან ფ. მახარაძემ. № არმიის პოლიტიკურ განყოფილებიდგან ამხ. ნიკულიხინმა, კომპარტიის ტფილისის კომიტეტისაგან ამხ. ნუცუბიძემ. აგიტაციის განყოფილებიდგან ამხ. ფლორამ № ბრიგადისაგან და ლვთისვაიამ მომხსენებლებმა მიულოცეს საქართველოს მშრომელ ქალთ დიადი საერთაშორისო დღესასწაული „და დაახასიათეს მნიშვნელობა მშრომელ ქალთა კლასიურ პროლეტარულ ბრძოლაში. მიტინგის დასასრულს მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: მთელის მსოფლიოს მშრომელ ქალთა დიდებულ საერთაშორისო დღესასწაულის ოდეს საქართველოს მშრომელმა ქალებმა საერთო მიტინგზე დაადგინეს მიესალმონ თვის საზღვარ გარეთელ ამხანაგებს კლასიურ პროლეტარულ ბრძოლის დიდებულ საქმეში და მოუწოდებენ ყველა სხვა ქვეყნის მუშა ქალთ, ვინც არ შეუერთდა კომუნიზმს მოიშორონ საუკუნო ჯაჭვები მონობისა, შეიგნონ ეხლანდელი მდგომარეობა და საბჭოთა ქვეყნების მუშა ქალებთან ხელი ხელჩაბმულნი მიესწრაფონ კომუნიზმის იდეებს განვითარებისა და გამაგრების გზით, ვინაიდგან კომუნიზმის იდეები ერთად ერთი მხსნელია მუშა ხალხისა."

საღამოთი გამართულიიყო უფასო წარმოდგენები. წარმოდგენების წინ გამოვიდნენ მოხსენებებით შესაფერ თემაზე პასუხის მგებელი მუშაკნი.

ქალაქის სანიტარია.

მარტის 9 ბრძანებით ტფილისის მილიციის უფროსი სასტიკათ იმეორებს თვის ბრძანებას ქუჩებისა ეზოებისა, ტროტუარებისა და რეპერადების სისუფთავის შესახებ, ქუჩები უნდა დაიგავოს დილის 6 საათზედ,

ბინა სოვნარხოზისთვის.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ საქართველოს რევკომის განკარგულებისამებრ მისწერა რიჩგორსკის-სავიჩს და საერო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კომენდანტს მიიღოს შენობა ვოლგა-კამის ბანკის ტფილისის განყოფილების ყოველივე ინვენტარით და ამ შენობაში მოთავსდეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

სასადილოების ორგანიზაცია.

პროფესიონალურ კავშირების მოქმედების აღდგენის დროებითი კომიტეტი შეუდგა სასადილოების ორგანიზაციას. სადილები იქნება იქნება ფასით. აღძრულია აგრეთვე კითხვა საჩაიების ორგანიზაციის შესახებ.

შაბი წყალსადენისთვის.

ქალაქის წყალსადენის დირექტორმა ინჟინერმა დიასამიძემ მიმართა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თხოვნით გადაეცეს წყალსადენს 2000 ფუთი შაბი. რომელიც შეუკვეთა ყოფილმა ტფილისის ქალაქის გამგეობამ კუპერმანის ქარხანას განჯაში. ეს შაბი აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭოს აქვს აღწერილი. შაბი წყალის დასაწმენდათ ამ ჟამად მეტად საჭიროა, რადგანაც წყალსადენის აუზებში შედის მტკვრიდან მღვრიე წყალი.

მინდვრების დათესვა.

მიწათმოქმედების კომისარიატი იმუშავებს პროექტს საქართველოს ყველა მინდვრების დათესვისა და უპირველესად საერო მამულებისა, ამავე დროს კომისარიატი სცდილობს იშოვოს საკამო თესლი დასათესად. ცხობილია, რომ შემოდგომის წვიმებმა და შემდეგ ადრეულმა სიცივემ შეუშალა ხელი შემოდგომაზე თესვას და ამიტომ ზოგიერთ ადგილას დაუთესველია 85 პროცენტი, საქართველოს, რომ ერთი წლის სამყოფი პური ჰქონდეს საჭიროა დაითესოს ანეული და ანეულისავე მოსავლის დაუთესავი ადგილები.

ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ალიხანოვისა და ტიდელეს აქციონერულ საზოგადოების ქარხნებში.

ზეთის და საპნისა ქარხანა აკეთებს უმთავრესად ზეთსა, ბამბის თესლიდგან. ამ ჟამად ბამბის თესლის უქონლობისა გამო ზეთი კეთდება სოსასა და კაკლისაგან. ზეთის გარდა კეთდება შემდეგ საპონი კეთდება, ქარხანაში მუშაობს 53 კაცი. ქარხნის კომიტეტში ორი კომუნისტია და სამი თანამგრძნობი. ქარხნის პატრონები ცხოვრობენ საზღვარ გარედ.

ტყავის ქარხანა ადელხანოვისა.

ქარხანაში მუშაობს 110 კაცი. ქარხნისა გზავნის დამუშავებულ საქონელს მთავრობის სატყავო განყოფილებას.

ამ. მახმუდ-ბეკოვისა და მოხტანზადეს საფეიქრო ქარხანა.

ქარხანა დროებით არ მუშაობს ნავთის უქონლობის გამო.

ლიმონათის ქარხანა ამირანი.

ქარხანა აკეთებს ლიმონათსა და ზელტერის წყალს. მანქანები ნორმალურად მუშაობენ, მაგრამ მასალის ნაკლებულობის გამო ქარხანამ შეამოკლა მისი მუშაობა.

ხის შპილკების გამკეთებელი კავკასიის ამხანაგობა.

ქარხანა გაიხსნა გასულ წლის ოქტომბერში. ქარხანაში 9 მუშაა. საშუალო რიცხვით დღეში კეთდება ორ ფუთამდე ხის შპილკა. ნაწარმოები იყიდება წვრილ-წვრილად.

ნიდერლანდის საკონსულო.

გრუზავროსტას თანამშრომელთან საუბრის დროს ნიდერლანდის კონსულმა განაცხადა იმედი მაქვს, რომ ხელმოკლე ხანში მოხდება კომერციული განწყობა ჰოლანდიისა და საბჭოთა საქართველოს შორის. თუმცაო სთქვა კონსულმა, ამ დრომდე, ვიდრე გზა არ გაიხსნება ძნელია კონკრეტიულად ითქვას როგორი ვაჭრობა დამყარდება და რამდენი საქონელი წავა და მოვა. მიუხედავად ის შეიძლება ვიფიქროთ, რომ გოლანდიასა და საბჭოთა საქართველოს შორის მყარდება მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა.

მოწაფეთა კონფერენცია.

ტფილისი. ებრაელთა I გიმნაზიის მოწაფეთა კომიტეტმა მოითხოვა ქ. ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებლებს—გამოგზავნეთ თქვენი დელეგატები ქალაქის საზოგადო მოწაფეთა კონფერენციაზე ქალაქის მოწაფეთა კომიტეტის ასარჩევად. ერთ კომპლექტიანი გიმნაზიები გზავნიან 9 დელეგატს. ორ კომპლექტიანი—10 და სამ კომპლექტიანი—12. ადგილი და დრო კრებისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

უბნების სასურსათო ბიურო.

საუბნო კომისარიატებში მარტის 10 დაიწყეს მუშაობა საუბნო სასურსათო ბიუროებმა.

ესვების ფაბრიკა.

ესვეის ფაბრიკა სადაც მზადდება ბალეტი და ბავშვების საკვები ფქვილი და რომელმაც ბოლო ხანს შესწყვიტა მუშაობა, სოვნარხოზის ქიმიურმა განყოფილებამ თავის განკარგულებაში აღრიცხა. უკვე შეადგინეს ფაბრიკის ხარჯთ აღრიცხვა და მალე ფაბრიკაში მუშაობაც დაიწყება.

ცენტრო კავშირი.

კავშირიონმა უკვე აღმოაჩინა საქონლის ნაწილი, რომელიც საქართველოს ყოფილ მთავრობის მიერ იყო მისგან ჩამორთმეული ცენტრო კავშირი აღმოჩენილ საქონლის ნაწილს გაზვნის ბაქოს, რამდენიმე ვაგონ ბრინჯზე გადასაცვლელად რესპუბლიკის სასურსათო ფონდის დასაბმარებლად.

სასურსათო საწყობების დაბეჭდვა.

ნარკომპროდმა სთხოვა მილიციის უფროს გასცეს განკარგულება საუბნო კომისარიატებისადმი დაუყონებლივ წარმოუდგინონ ნარკომპროდს სია მის რაიონში დაბეჭდილ კომისარიატის ან სხვა კომისიების მიერ სასურსათო საწყობებისა.

პურის დარიგების წესი.

პურის თანასწორად და წესიერად განაწილების მიზნით მცხოვრებთა შორის გორპროდკომმა მისწერა ყველა კერძო მეფურნეებს, რომ მათ მიერ გამოცხობილი პური გასცენ მხოლოდ ბარათებით დაწესებულ ნორმით, ე. ი. სულზე ნახ. გირვანქა და არა უმეტეს 8 გირვანქისა.

„ფოშტელის" მოსამსახურეთა სასადილო.

მარტის 10 კაფე „26 მაისში" ფოშტის მოსამსახურეთა სასადილო გაიხსნა.

გაფრთხილება.

ქალაქ ტფილისის პროდკომი აცხადებს, რომ იმ მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც მუშათა მაგიდებიდან იღებენ პურის ულუფას, არა აქვთ უფლება მიიღონ კიდევ სასურსათო მაღაზიიდან და ქალაქის სხვა განაწილებელ პუნქტებიდან ხავთიან ბარათებით. ამის გამო, ხავთის ბარათები უნდა დაბრუნებულ იქნას მუშათა მაგიდაში მოსასპობად. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ხავთის ბარათს არ დაუბრუნებენ, მოესპობათ პურის ულუფა და მიეცემა პასუხის გებაში. ამის წესიერად შესრულების თვალყურის დევნება დომკომებს ევალება.

მე 11 არმიის თეატრი.

მე 11 არმიის პოლიტოდელმა ყველა თეატრების კომისარს მიმართა თხოვნით, რათა მათ დაუთმონ სახაფხულო და საზამთრო კრუჟოკები რუსულ წარმოდგენების გასამართავად მე-11 არმიის მსახიობებს. პოლიტოდელის თხოვნა დაკმაყოფილებულია.

კამერის თეატრი.

საკამერო თეატრის მსახიობებმა დრამის კომისარს ი. ზარდალიშვილს მიმართეს, რომ მ.ნ გამოირკვიოს, კამერიულ თეატრის მსახიობნი სახელმწიფო ხარჯზე იმყოფებიან თუ არა. ი. ზარდალიშვილმა ამის შესახებ მიმართა რევკომს. რევკომის დადგენილებით საკამერო თეატრის მსახიობნი სახელმწიფო ხარჯზე შეინახებიან.

ოფიცერთა რეგისტრაცია.

მარტის 10 კომენდანტის სამმართველოში 2.330 ოფიცრისა და სამხედრო მოხელის რეგისტრაცია მოხდა.

პროლეტკულტის მუშაკთა კრება.

სამშაბათს, მარტის 15 ს, გრუზავროსტას ბინაზე (რუსთაველის პრ. № 24) შესდგება პროლეტკულტის მუშათა კრება.

ხელოვნების პერსპექტივები პროლეტარულ სახელმწიფოში.

ორშაბათს 14 მარტს კავშირ „რაბის" კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება კავშირის წევრებისა და მათი ოჯახებისთვის მართავს კონსერვატორიის ზალაში ლექციას შემდეგ თემაზე „ხელოვნების პერსპექტივები პროლეტარულ სახელმწიფოში". ლექციას წაიკითხავს ბაგდატიევი. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

ბრძანება.

ვაცხადებ ცნობათ და სახელმძღვანელოდ, რომ ცენტრალურ რევკომის დადგენილების თანახმად ბინები და ქონება იმ პირთა, რომელნიც მობილიზაციის გამო იყვნენ გაწვეულნი ყოფილ მენშევიკთა მთავრობის ლაშქარში ან ომიანობის პირობების გამო, დასტოვეს ტფილისი (გლეხები, მუშები, სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა და წარმოებათა წვრილი მუშა-მოსამსახურენი, ინტელიგენტი მომუშავენი) არ ექვემდებარება რეკვიზიციას და კონფისკაციას.

საბინაო განყოფილებას, მილიციის უფროსს და ბინათა კომიტეტებს ევალებათ ადევნონ თვალ-ყური ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას.

ტფილისის რევკომის თავმჯდომარე.

ხელოვნება. სახელმწიფო თეატრში.

სახელმწიფო ოპერის თეატრის ახლად დანიშნულმა კომისარმა გ. ნ. ქართველიშვილმა გრუზავროსტას თანამშრომელთან საუბარში გამოსთქვა ის აზრი, რომ ტფილისში ოპერის საქმე დაქვეითდა. ეს დაქვეითება უმთავრესად გამოხატა უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში. არტისტები ისე უყურებენ ხელოვნებას, თითქო უბრალო ხელოსნები იყვნენ ოპერის დასისა. ორკესტრი და ხორო შესამჩნევათ დასუსტდა. დიდებულ ომსა და რევოლიუციას შედეგად მოჰყვა უკიდურესი სიძვირე, რამაც აიძულა მრავალი არტისტი მოეძებნა სხვა რამ სამუშაო და მრავალი მათგანი გადიქცნენ უბრალო ხელოსნებად. ეხლანდელი დასი სახელმწიფო თეატრის ოპერისა არ არის კმაყოფილი. ერთი ქახრის ხმები საჭიროზე მეტია სხვა ხმები-კი ძლიერ ნაკლებია. ოპერის დასის ასეთი არა რაციონალურ შემადგენლობის გამო ეხლანდელ არა ჩვეულებრივ დროს ჩვენ გვაქვს ერთფეროვანი რეპერტუარი და ამიტომ დირექციას არ შეუძლიან დასდგას მრავალი ოპერა მიუხედავათ იმისა, რომ დასში ძლიერ ბევრი არტისტია. ა.რ. წუწუნავას ენერგიულ მოქმედების წყალობით მოხერხდა შედგენა ორკესტრისა, რომელიც საკმაო სიმაღლეზე სდგას. ორკესტრში არიან კარგი მუსიკალური ძალები, საკმაო კარგი ანსამბლისტები. ცოტა სხვანაირად არის ხოროს საქმე. მიუხედავად დიდი შრომისა გასულ ზაფხულში შედგენილი ხორო ახალგაზდა ხმებისაგან ჯერ საკმაო არ არის გამოცდილი. მიუხედავად ამისა შეიძლია ვსთქვა, რომ მომეტებული შრომით და მომეტებული მეცადინეობით შეიძლება შედგეს ისეთი ხორო, რომელიც საჭიროა ოპერის კარგი ანსამბლისთვის.

დასასრულ ნ. კ. ქართველიშვილმა გვიპასუხა, რომ არცერთი ფირმა მთავრობისა არ იძლევა ისეთს თავისუფალ მოედანს არტისტიული ნიჭისა და ხელოვნების ინიციატივის გამოჩენისათვის, როგორც საბჭოთა რეჟიმში.

საკამერო თეატრი.

საკამერო თეატრში დაარსდა სახელოვნო კოლეგია შემადგენლობით ამხ. ბუტკევიჩის, ოპოლენსკი და პერესტიანი.

გრუზავროსტას ქრონიკა

№ 15.

1921 წელი მარტის 13 ს.

ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტში.

ყოფილ მთავრობის მიერ ჯარში გაწვეულთა ოჯახობის უზრუნველყოფა სურსათით და პურით. ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარეს ბრძანებით № 6 აცხადებს: ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ რევოლიუციონურ ცენტრალურ კომიტეტის დადგენილება ოჯახები საქართველოს მენშევიკ მთავრობის მიერ ჯარში გაწვეულთა და აგრეთვე გაქცეულთა თბილისიდგან ომიანობის გამო (მუშები, გლეხები, დაბალი მოსამსახურენი, სახელმწიფო, საზოგადო და კერძო წარმოებისა და დაწესებულებისა და ინტელიგენტი მომუშავენი) [illegible] გამოცემის მიიღებენ სურსათს ([illegible] და სხვა) [illegible] აღნიშნულ ოჯახებს უფლება აქვთ მიიღონ ხელფრი ფული, რომელიც ერგებათ ოჯახის პატრონი იმ სამსახურის მიხედვით, რომელიც ბოლოდროს ჰქონდათ.

შესაფერ დაწესებულებას, მმართველობათ და წარმოებათ მათი პასუხის გებით ევალებათ თვალ-ყური ადევნონ ზემოხსენებულ დადგენილების სწორ და ნამდვილ შესრულებას.

ბინის ფასის მომატების აკრძალვა

ბრძანებაში № 7 ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს: ბინის პატრონებსა და სახლის პატრონებს სასტიკად ეკრძალებათ ბინის ეხლანდელ ფასის მომატება. დამნაშავენი ამა ბრძანების დარღვევისა გამო მიცემულ იქნებიან რევოლიუციონურ ტრიბუნალში. საბინაო კომიტეტმა მილიციის უფროსს და საბინაო კომიტეტებს ევალებათ სასტიკი თვალყურის გდება ამა ბრძანების ასრულებისთვის.

საბინაო განყოფილების მუშაობის გეგმა.

ქალაქის რევოლიუციონურმა კომიტეტმა მოსთხოვა საბინაო განყოფილებას წარმოადგინოს გეგმა მუშაობისა ჯარის ნაწილების დაბინავების და აგრეთვე მუშათა სახლების ორგანიზაციის, ბავშვთა თავშესაფრის და სავადმყოფოების ორგანიზაციის შესახებ აგრეთვე განაძლიერდეს შტატები საბინაო განყოფილების მომუშავეთა, რათა საჩქაროდ იყოს ასრულებული ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ განზრახული პროექტები ბინადრობის შესახებ.

ღია წერილი

(რედაქციის მიმართ)

ამხ რედაქტორო!

„რა ეხა წახდეს
„ერიც დაეცეს
„წარეცხოს ჩირქი
„ტაძარსა წმინდას"

გრ. ორბელიანი.

ამ ბოლოს დროს ფრიად გაუგებარი სიტყვები იბეჭდება ქართულ გაზეთებში და ქუჩის ლიტერატურაში მეტადრე ახალი სამმართველოების სახელწოდებათა, მაგალითად: „რევკომი" „გრუკოვროსტა" „გირპოდკომი" „ზაკავკავროსტა" „ნარკომპროდი" პოლიტპროდო" „გორრევკომი" და სხვა მრავალი დაუკვირდით რომ ქართული ენა [illegible] რომ ამ უცხო სრულიად გაუგებარი სიტყვების გადმოთარგმნა არ შეიძლება ხალხის გასაგებ ენაზე?

ისე როგორც: Городское Самоуправление—ქალაქის თვითმართველობა.

Земство ერობა და სხვადასხვა საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ რომ მთავრობა არ გვიძლევდეს ნებას თარგმნისას—ვინაიდგან ჩვენი ახალი მთავრობა დაუსრულებლად საქვეყნოდ აცხადებს რომ ისინი მტკიცედ დაიცავენ ქართული ენის უზენაესობას და საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

მაშ რითი ავხსნათ ასეთი გაუგებარი სიტყვებით ქართული ენის ასე დამახინჯებას!! *)

ხოსიკო მერკვილაძე.

ვსთხოვ ქართულ გაზ. „კომუნისტს" გადმოებეჭდოს თავის ფურცლებზე ეს წერილი. ხ. მ.

---

*) როგორც გვეგებით უკვე სათანადო ორგანოს მიუქცევია ყურადღება ამ საკითხისადმი და ადგენს ქართულ შემოკლებულ ტერმინებს. ყოველ შემთხვევაში „სოც.-ფედ.-ის" რედაქცია სულ მოკლე ხანში შემოიღებს სათანადო ქართულ ტერმინებს.

რედაქცია.

რედაქტორი [illegible] ლეონტი.
გამოცემა [illegible] მთავარი კომიტეტისა.

სტამბა „სახალხო საქმე" კალოუბნის ქუჩა № 14.